# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა. — კვირა, 9 ივლისი 1900 წ. № 1175

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



საზაფხულო თეატრი და ბაღი

(მიხეილის პროსპექტი)

**საკვირაო-მოქმედო წარმოდგენა**

კვირას, 9 ივლისს,

ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება

**ძუნწი**

კომედ. 2 მოქ. გ. ერისთავისა

მოთამაშენი: ქ.ქ. ნებიერიძე, ვაშაკიძე; ბ.ბ. აბაშიძე, სეიმონიძე, გუნია, ურუშაძე, ჯაჯანაშვილი და სხვ.

ბუნდოვანი სურათები **ვეფხის ტყაოსანი** ნაჩვენები იქმნება გამოჩენილი მოგზაური **ჯან მორისისაგან**.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 9 საათზე.

(2—2) რეჟისორი გ. აბაშიძე.


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**7 ივლისა**

**პეტერბურგი.** ვიცე-ადმირალ ალექსეევის დეპეშა ჩიფუდან: „ტიანცზინი, 29 ივლისი. გუშინ ჩვენ მოწინავე რაზმს სადგურთან თავს დაესხა 2000 ჩინელი ჯარის-კაცი ბ მოკრივე; მეათე პოლკის ნახევარი როტა ალყა-შემორტყმული დარჩა და იძულებული შეიქნა ხიშტებით გზა გაეკაფა. დასჭრეს პორუჩიკი სოკოლოვი. მოჰკლეს 4 ჯარის-კაცი ბ დასჭრეს 18; მაშველმა ჯარმა განდევნა ჩინელები. მოუკლეს მტერს 70 კაცი.

**პრეტორია.** ინგლისელებმა დაატყვევეს ბიურგერი ვოლმარანსი, რომელსაც სახლში უნახეს ბევრი იარაღი და 6000 გირვანქა სტერლინგი ოქროს ფული, ჯერ სრულებით უხმარი.

**კაპშტადტი.** ბეთლემსა და ლინდლეის შუა მოვიდა 1500 ორანჟელი ბური, რომელნიც აქედან უფრო შორს წავიდნენ. ინგლისელების კავალერია დაედევნა მათ. ბრძოლა აუცილებელია.

**პარიზი.** დელკასეს მოუვიდა შანჰაიდან 5 ივლისიდან დეპეშა, რომელშიაც, თანხმად შანდუნის გუბერნატორის სიტყვებისა, იტყობინებიან, რომ პეკინში ელჩები და მათი ოჯახები უვნებლად არიან, თუმცა ჯერ კიდევ დიდი შიშიანობა არის. მეფის მოადგილემ შეატყობინა კონსულს, რომ იგი გაგზავნის პეკინში დეპეშას, რათა საელჩოები დაიცვან.

**ჩიფუ.** შანდუნის გუბერნატორმა უბრძანა მოხელეთ, რომ მათ ხელწერილი ჩამოართვან ჩინელ ქრისტიანებს ქრისტეს სარწმუნოებაზედ უარის თქმის შესახებ. ამასთანავე გამოიცა პროკლამაცია, რომლითაც ხალხს ურჩევენ არ სძარცვონ ის ჩინელები, რომელნიც უარჰყოფენ ქრისტეს სჯულს.

**ნეაპოლი.** მეფე ჰუმბერტომ დაათვალიერა არსენალი ბ ის გემები, რომლებითაც უნდა გაიგზავნოს ჩინეთში იტალიელთა რაზმები. დათვალიერების შემდეგ მეფემ მიჰმართა ჯარებს სიტყვით.

**ვენა.** სეიმურის პეკინისაკენ გამხედრების დროს ევროპიელთ ხელში ჩაუვარდათ ჩინელ მეამბოხეთა დროშა, რომელზედაც ეწერა „იმპერატორის ბრძანებით.“

**ტოკიო,** 6 ივლისს. 1-ლ ივლისს, ტიანცზინის აღების დროს, იაპონელებმა დაიჭირეს ჩინეთის საზღვაო ჯარის სადგომები. იაპონელებმა უკუ-აგდეს მტერი, რომელსაც განეზრახა რკინის გზის სადგურის დაპყრობა. იაპონელებმა წაართვეს მეამბოხეთ 48 ზარბაზანი; ჩინელებმა მათ მოუკლეს 60 კაცი და დაუჭრეს 270. შემდეგ მოსულ ცნობებით, იაპონელებმა ხელთ იგდეს 80 ზარბაზანი, მათ შორის 16 ახალის სისტემისაა.

**შანჰაი.** აქ მოვიდა ჰოლანდიის კრეისერი „ჰოლანდი“. ტელეგრაფის მუშაობა მალე დაიწყება ტაკუსა და ჩიფუს შუა.

**ჰონკონგი.** გუშინ აქ მოვიდა ლიხუნჩანგი ამალით. გუბერნატორთან ხანგრძლივი ლაპარაკის შემდეგ გამოაცხადა, რომ 25 ივნისს მან მიიღო პეკინიდან ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ საელჩოები უვნებლად იმყოფებოდნენ. ბრძანება, რომლითაც იგი მიწვეულია პეკინში, დედოფლის ხელმოწერილია და არა პრინც ტუანის. ამ ბძანებით იგი ინიშნება მეფის მოადგილედ ჩჟილიში. ლიხუნჩანგმა საბოლოვოდ დასტოვა კანტონი და ბეჭედი გადასცა კანტონის გუბერნატორს ტაკენუს, რომელსაც ამასთანავე მიანდო მშვიდობიანობის დაცვა. ლიხუნჩანგი ფიქრობს, რომ კანტონში აჯანყება არ იქნება. ლიხუნჩანგმა განაცხადა, რომ მას იმედი აქვს ევროპიელებთან მორიგებისა და ომის თავიდან აშორებისა. აქედან ლი წავიდა შანხაიში, შემდეგ პეკინში. კონტონიდან წასვლამდე მან ფორტებში დააყენა 5000 ჯარის-კაცი.

**ვაშინგტონი.** მთავრობას სრულებით არ ჰქონია განზრახვა დაეშალოს ჩინელის ელჩს ჩინეთის მთავრობის პირებთან მიწერ-მოწერა იქონიოს. წინააღმდეგ ამისა, მთავრობა დარწმუნებულია, რომ ჩინეთის ელჩი გულით მონდომებულია დაიცვას ევროპიელები და ამერიკელები. ამიტომ, გარეშე საქმეთა სამინისტროს აზრით, გონიერი პოლიტიკა იქნება, გაუადვილოს ჩინეთის ელჩს ჩინეთის მთავრობის პირებთან მიწერ-მოწერის საქმე.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბძანება: აკმოლინსკის, სემი პალატინსკის, სემირეჩინსკის, ტურგაის და ფერგანის ოლქების გენერალ-გუბერნატორი ბარონი ტაუბე დაინიშნა სამხედრო ჩრევის წევრად.

**სიმლა.** ინდოეთის ჯარების მთავარ-სარდლის თანამდებობის აღმასრულებელი აცხადებს, რომ აღარ შეიძლება მეტი ჯარი გავგზავნოთ ჩინეთში ინდოეთიდან, სანამ არ დაგვიბრუნდება ჯარი სამხრეთ-აფრიკიდანაო.

**ნიუ-იორკი.** ჩიფუდან იტყობინებიან, რომ ტიანცზინის აღების შემდეგ გაქცეულმა ჩინელებმა დახოცეს თავიანთი ცოლები, რათა ისინი არ ჩავარდნოდათ ხელში უცხოელთ.

**იოკაჰამა.** იაპონიაში თანდათან ძლიერდება სურვილი, რომ მთავრობა ძალიან არ ჩაებას ჩინეთის საქმეებში. მთავრობის განზრახვის შესახებ არაფერი იციან; მაგრამ უკვე დაიძრა ჩინეთში წასასვლელად სანდეას შემდეგი დივიზია. იაპონიაში ბევრი ჩამოდის ჩინეთიდან გამოქცეული.

**შანჰაი.** მკვიდრთა სიტყვებით, იანშიკაის ჩინელმა ჯარმა დაამარცხა პრინც ტუანის ჯარები შაიდუნის საზღვართან. იანშიკაის გავლენა აღემატება სხვა მმართველების გავლენას. ნანკინის მმართველმა, უცხოელ კონსულების თხოვნით, ხელმეორედ გასცა ბრძანება ვუზუმში სიმაგრეების აგების შეჩერების შესახებ. ნანკინში ჰფიქრობენ, რომ მმართველს არა აქვს იმდენი გავლენა, რომ წესიერება დაიცვას მდინარის ჩრდილოეთით. კონსულების ბრძანებით, მიღებულია ზომები ქალების და ბავშვების გასაგზავნათ. 4 ივლისს ინგლისის კონსულს ცნობა მოუვიდა ცზიანის პროვინციაში მისსიონერთა წინააღმდეგ ამბოხების დაწყების შესახებ. შესაძლებელია, რომ ამბოხება დიდ მანძილზე გავრცელდეს.

**შანჰაი.** აქ განუწყვეტლივ მოდიან შეიარაღებული ჩინელები. კონსულებმა პროტესტი განაცხადეს ჩინეთის საომრად მზადების გა-

მოლ. ნანკინის მმართველს კვლავ ებრძანა პეკინში წასვლა.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელს დეპეშაში შანჰაიდან უხერხული კორრექტურული შეცდომა შეგვეპარა დაბეჭდილია: — „გაიქცნენ საფრანგეთის არტილერიის **ჯარები**", უნდა იყოს — „**ჯორები**".

## ოფიციალური და სხვა ცნობები ჩინეთში არეულობის შესახებ

✕ ტიანცზინში მოსულ შიკრიკის სიტყვით, პეკინსა და ტიანცზინს შუა ჩინელ ჯარების რიცხვი 150 ათასამდე ასულა.

✕ დიპლომატიურ წრეებში ხმა დადის, ვითომც ინგლისსა და იაპონიას შუა არსებობდეს ხელშეკრულება, რომლის ძალით იაპონიამ უნდა გაგზავნოს ჩინეთში 60,000 ჯარის კაცი; ინგლისი სამაგიეროდ მოეხმარება მას კორეის დაპყრობაში და მატერიალურ შემწეობასაც აღმოუჩენს. თუ ეს ხმა მართალია, იაპონია და ინგლისი თავისთვის, სხვა სახელმწიფოების დამოუკიდებლად იმოქმედებენ ჩინეთში.

✕ როგორც გუშინდელმა დეპეშებმა გვაჩვენეს, ჩინელ მეთაურთა შორის დიდი განხეთქილება და ბრძოლაა. რასაკვირველია, ეს ჩინელებს ასუსტებს და ხელს უწყობს უცხოელების გამარჯვებას, მაგრამ, როგორც ისმის, ვერც მოკავშირეთა მეთაურნი მოქმედობენ სრულს თანხმობით. ყველა იმ აზრისა არის, რომ აუცილებელია ერთი მთავარ-სარდლის დანიშვნა, მას უნდა ყველა მორჩილებდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე ძალიან გაძნელდება და გაჭიანურდება, რადგანაც ეხლა თვითეული კონტინგენტი თითქმის სრულებით დამოუკიდებლად მოქმედობს. აი ერთი მაგალითიც არსებულ უთანხმოებისა: უფროსთა უმრავლესობამ დაადგინა 1 ივლისს (18 ივნისს) ტიანცზინზე იერიშით მისვლა, მაგრამ ვერ მოიყვანეს სისრულეში ეს დადგენილება, რადგანაც ერთმა უფროსთაგანმა საქმის გადადება მოითხოვა, რადგანაც ჩემი ჯარის კაცები დაღალულები არიანო. ამასობაში ჩინელებს მაშველი ჯარი მოუვიდათ და საქმე მეტად გაძნელდა. ამბობენ, ვითომც გერმანიის იმპერატორს სურდეს მთავარ-სარდლობა საფრანგეთის გენერალს ხვდეს, რადგანაც ჩრდილოეთ ჩინეთში საფრანგეთს სხვაზე ნაკლები ინტერესები აქვს.

✕ იაპონია ჩინეთს ყოველთვის უფრო მეგობრულად ეკიდებოდა, ვიდრე სხვა სახელმწიფოები. ჩინეთიც მეტის ნდობით ეპყრობა იაპონიას, რაც იქიდან სჩანს, რომ მან მოიწვია იაპონელები თავის დამოყნებში და განზრახვა ჰქონდა მათი ინსტრუქტორებად მოწვევა. იაპონიისა და ჩინეთის დაახლოვების აზრი ძველია: ოთხმოც-და-ათ წელში იაპონიაში დაარსდა «დიდი აღმოსავლეთის კავშირის საზოგადოება», რომლის წევრებად იყვნენ იაპონიისა და ჩინეთის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები. ამ საზოგადოების დევიზია: «აზია მონგოლებისათვის»-ო. ამ აზრის მხურვალე დამცველი და მქადაგებელია იაპონელი დეპუტატი ა[illegible]იტო, ყველა უცხოელების და განსაკუთრებით რუსების დიდი მტერი. მან პანმონგოლისმის იდეების გასავრცელებლად გამოსცა ჩინურ ენაზე 1893-ში ბროშიურა შემდეგის სათაურით: «დიდი აღმოსავლეთის კავშირი»; ეს ბროშიურა იაპონიის პოლიტიკური კატეხიზისია, რომლის დედა აზრია, შექმნას აღმოსავლეთში მონგოლთა დიდი ფედერაცია, რომლის მოთავე, რასაკვირველია, იაპონია უნდა იქმნეს. იაპონია, რომელმაც ევროპიული კულტურა შეითვისა, გაანათლებს და გაწვრთნის ფედერაციის წევრებს და მოამზადებს მას ევროპიელებთან საბრძოლველად.—ჩინეთ-იაპონელებისომის შემდეგ, «საზოგადოება»-მ შესწყვიტა არსებობა, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში იგი ისევ გაჩნდა «აღმოსავლეთ-აზიური საზოგადოების» სახელით. ტენდენცია ამ საზოგადოებისა იგივეა, რაც წინა არსებულისა, უახლოესი მიზანი კი იაპონიისა და ჩინეთის დამეგობრება. როგორ იმოქმედებს ეხლა ატეხილი არეულობა ამ მიზნის განხორციელებაზე, ჯერ არ ვიცით.

# ახალი ამბავი

✦ მთავარმართებლის განკარგულებით **კავკასიის სტიპენდიანტებად ჩარიცხულ იქმნენ:** მოსკოვის უნივერსიტეტში — სიმონ გძელიშვილი (1-ლ გიმნაზიიდან), მიხეილ ასათიანი და ირაკლი წერეთელი (მე-2 გიმნაზიიდან, ორივემ ვერცხლის მენდლები მიიღეს), ოდესის უნივერსიტეტში—იოსებ გობეჩია და კონსტანტინე სულაქველიძე (ქუთაისის გიმნაზიიდან; სულაქველიძემ ვეცხლის მედალი მიიღო).

✦ მთავარმართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. ბ-ნი **ა. ა. ფრეზე** საზაფხულოდ კანცელარიით კოჯორში წავიდა.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი **ი. ნ. სვეჩინი მიდის თიანეთის მაზრის დასათვალიერებლად.** მგზავრობა ორი კვირა გაგრძელდება; ბ-ნ სვეჩინს განზრახვა აქვს მოიაროს ფშავეთი, თუშეთი, ხევსურეთი და ქისტეთი. როგორც შევიტყვეთ, ჩვენი **ცნობილი მხატვარი გ. გაბაშვილიც** მიჰყვება მას ამ მგზავრობაში.

✦ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მთავარმართებელმა დაამტკიცა მთაწმინდაზე ფუნიკულების აყვანის საქმე. რაც შეეხება მთაწმინდიდან კოჯორამდე რკინის გზის გაყვანის საქმეს, ამის შესახებ განსაკუთრებული შუამდგომლობა უნდა იქმნას აღძრული. **ფუნიკულერის კეთებას** ეხლავე შეუდგებიან და იმედი აქვთ, რომ 1901 წლის ივნისისათვის სრულებით მზად იქნება.

✦ ადგილობრივი გაზეთების სიტყვით, ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში კურსი დაუმთავრებია 21 ქართველსა და ერთ რუსს.

✦ ეხლა ხან აღუძრავთ კითხვა — მიეცეს თუ არა ნება **ფარმაცევტებს** 27 წლის შესრულებამდე არ გადაიხადონ **სამხედრო ბეგარა.**

✦ სიღნაღის მაზრის ზოგიერთ სოფლებში **სეტყვას** დაუზარალებია თამბაქოს პლანტაციები, ბაღები და ნათესები. ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი, მაგრამ დასეტყვილ ადგილების სიდიდის მიხედვით, ზარალი დიდი უნდა იყოს.

✦ სოფ. კურდღელაურიდან გვწერენ: „ამ სოფელში 30 ივნისს ერთი შემაძრწუნებული მკვლელობა მოხდა. აი საქმის გარემოება: სოფ. კურდღელაურში მცხოვრებ გ. მესტვირეშვილს შეჰყვარებია ამავე სოფლის მცხოვრების ნ. ბიძინაშვილის ცოლი; ქალმა ბევრი უშალა, თავი დამანებე, ჩვენსა ნუ დადიხარო, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა და დადიოდა. ბოლოს რომ აღარ მოჰშვებია, ქალს გამოუცხადებია მამასახლისისთვის, რომ ესა და ეს კაცი მომაშორეო. ეს ამბავი ქალის ქმარსაც ჰსცოდნია და თურმე ლაპარაკი და ჩხუბი მოსდიოდა თავის მეტოქესთან; ამასაც მამასახლისისთვის გამოუცხადებია და უთქვამს კიდეც, რომ თუ არ მომეშვება, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები ვიხმარო რამე ღონის ძიება მის მოსაშორებლადო. ყველა ამის მიუხედავად მესტვირეშვილი მაინც მისულა ღამე 30 ივნისს და კარები დაუკაკუნებია ბიძინაშვილისათვის და თანაც დაუძახნია: „კარები გამიღეო". ბიძინაშვილი მაშინვე წამომხტარა, აუღია თოფი და დაუჭყივლია: „დაიკარგე აქედან, თორემ მოვიდა თოფი"-ო, ლულა გაუყოფინებია კარებში (ალბად შესაშინებლად) და გაუსროლია; ამ დროს იქვე კარებში მდგარა მესტვირეშვილი, ტყვია ყურის ძირში მოხვედრია, მეორე მხარეს გავარდნილა და იქვე სული განუტევებია. ბიძინაშვილს რომ დაუნახავს, კაცი შემომაკვდაო, მაშინვე მამასახლისთან გაქცეულა და ტირილით უამბნია, რომ კაცი შემომაკვდა და მიშველე რამეო. მამასახლისმა მეორე დღეს ბოქაულს შეატყობინა; ბოქაულიც მაშინვე მივიდა ადგილობრივ, სადაც მკვლელობა მოჰხდა, შეადგინა ოქმი და ბიძინაშვილთან ერთად გარდასცა გამომძიებელს".

✦ ერევნის საგუბერნიო მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე ქ. ალექსანდრეპოლში **რეალურ გიმნაზიის დაარსების** შესახებ. განზრახულ გიმნაზიისათვის ქალაქი იძლევა სახლს და 7,000 მ. წლიურად.

✦ ამიერ კავკასიის **რკინის გზათა უფროსი ინჟინერი ბ. გედენეგი** ამ თვის ბოლოს საზღვარ-გარედ მიდის.

✦ ქალაქის თავის მოადგილემ წარუდგინა ბ-ნ გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს საბჭოს გარდაწყვეტილება და მთელი მასალა ნატახტარის წყაროებიდან წყლის გამოყვანის შესახებ.

✦ ახალი განკარგულების ძალით, ბლაღოჩინები მოვალენი არიან წარმოუდგინონ ადგილობრივ კონსისტორიებს დაწვრილებითი ანგარიშები ყველა **საეკკლესიო ბიბლიოთეკებისა.**

✦ ახალ წესებზე დაყენებულ **დეპარტამენტს ვაჭრობისას და მანუფაქტურისას** ოთხი განყოფილება ექმნება: ა) სავაჭრო, ბ) სამრეწველო, გ) სავაჭრო ზღვაოსნობისა და დ) სამოსწავლო. პირველი განყოფილების უფროსად დანიშნულია ვ. ი. მიხნევიჩი, მეორისა—ვ, ი. ლანგოვოი, მესამისა—ა. ვ, კონკევიჩი; მეოთხე განყოფილების უფროსი ჯერ არ დაუნიშნავთ.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროში აღძრულია კითხვა შესახებ **საფარმაცევტო განყოფილების დაარსებისა** საექიმო დეპარტამენტთან, მზგავსად არსებული საბეითალო განყოფილებისა. ამ ახალი განყოფილების ხელქვეით იქმნებიან ყველა საფარმაცევტო დაწესებულებანი და საექიმო გამგეობათა საფარმაცევტო ნაწილები. აქვე დაარსებულ იქმნება საფარმაცევტო ქიმიურ-ანალიტიური ლაბორატორია.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ნება დართო ქალაქის გამგეობას, მოახმაროს 3500 მანეთი საარჩევნო სიების **წეს-რიგზე შედგენის საქმეს.**

✦ კახეთიდან გვწერენ: „თუმცა მაისში განუწყვეტლივ წვიმდა და ცოტა არ იყოს შეგვაფიქრიანა კიდეც,—მოსავალს არ აწყინოსო, ნამეტნავად ყანებს, მაგრამ დროზე დაიწყო კარგი ამინდები, პური მალე დამარცვლდა და მალეც შემოვიდა, ისე რომ თიბათვის მეორე ნახევარში ყველამ აიღო ნამგალი და გაეშურა ყანის სამკალად; თუმცა ალაზნის გაღმა ყანას რაღაც ჭია „ბოგანო“ გაუჩნდა (მარცვალსა სჭამს), მაგრამ მან შესამჩნევი ზარალი ვერ მოიტანა, რადგანაც კარგმა ამინდებმა მალე გახადეს მოსამკალი ყანები, დ კიდევაც დამკეს. ეხლა მთელ კახეთში გახურებული მკაა, ხოლო აქა-იქ კალოებსაც შეხედებით, უფრო იმისას, ვინც მთელი წლის განმავლობაში ნაყიდ პურზე დაწოწავედა; ეხლა ეშურება, რომ შინ გამომცხვარი პურით პატარა სული მოიბრუნოს.

რამდენადაც პურს კარგი მოსავალი უჩანს და გლეხ-კაცს ახარებს, იმდენად აღონებს ღვინის მოუსავლობა. რადგან მაისში განუწყვეტელმა წვიმებმა ბევრს ხელი შეუშალა ეწამლა ვენახისათვის, ამის გამო თიბათვის სიცხეებში რაღაც სენი გაუჩნდა ვენახს. ეს სენი ის გახლავთ, რომ ზოგიერთ ადგილებში მტევანს ყუნწი უჭკნება და სწყდება; გარდა ამისა კახეთის ვენახებს წელს ნაცარი მოედოთ და ლამის არის გლეხკაცს მოსავლიდან ხელი აღებინოს. მაგრამ თუ წელს კახელი ღვინის მოსავლისაგან იქნება ცოტათ თუ ბევრად უკმაყოფილო, სამაგიეროდ პურის მოსავალი ხომ კარგია, და ახლა პურს სიმინდიც მოჰყვა ზედ, რაც კახეთში იშვიათია ხოლმე. წელს კახეთში სწორედ ნამდვილი სიმინდის ამინდი იყო.

✦ ახალ-სენაკიდან „ივერიას“ სწერენ, რომ კვირას, 2 ივლისს, აქაურს მაზრის სამმართველოში ახალ-სენაკის ვაჭრებს, მცხოვრებთა და თვით დაბის ახლო-მახლო მცხოვრებლებს კრება ჰქონიათ, მაზრის უფროსის ხმელნიცკის თავმჯდომარეობით. კრებას თითქმის 250 კაცზე მეტი დაესწრო წოდების განურჩევლად. კრების უმთავრესი აზრი ის იყო, რომ შუამდგომლობა გაეწიათ მთავრობასთან ახალ-სენაკი ქალაქად გადაკეთდეს და ამასთანავე დაესახელებინათ საზღვრები დაბისა და სხვა. მაზრის უფროსმა აუხსნა კრებას ის, თუ რისთვის დააბრუნა უწინდელი თხოვნა მთავრობამ. კრებამ ხელახლად შეიმუშავა რასაც მთავრობა ითხოვდა, განაჩენი დაადგინა, ხელი მოაწერეს და სთხოვენ უმაღლესს მთავრობას მათი თხოვნა შეიწყნაროს და ახალ-სენაკს ქალაქის სახელი მიანიჭოს. ამავე კრებამ დამფასებელ კომისსიაში აირჩია 14 კაცი, რომელთაც უნდა გამოიანგარიშონ, თუ დაბას რომელ წყაროდან რა შემოსავალი აქვს. ყოველივე ეს თხოვნა და განაჩენი ამ დღეებში უკვე ვაიგზავნება დასამტკიცებლად სადაც ჯერ არს.

✦ პირველ კავკასიის მსროლელთა ბრიგადა კასპიის აქეთა მხრიდან, სახელდობრ კუშკიდან, ტფილისში დაბრუნდა.

✦ რედაქციას მოუვიდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ გამოცემული **ქართული სახალხო სიმღერები**, ნოტებზე გადაღებული ბ-ნ ფილიმონ ქორიძის მიერ. სულ გადაღებულია რვა სიმღერა: 1) მოგონება (გურული კილო; 2) ქართული სიმფონია (მეგრული კილო), 3) ბროლის ყელი (იმერული კილო), 4) საყვარელსა განმაშორა სოფელმან (კახური), 5) ვაჰ, დრონი, დრონი (ქართლური), 6) შავი შაშვი (მონადირეთა სიმღერა გურულ კილოზე), 7) ნუ მღერი ტურფავ (ქართული რომანსი) და 8) ინდი-ფინდი, ფერადჩინდი (გურული კილო).

ამ გამოცემას, რომელშიაც მოთავსებულია ზოგიერთი საუკეთესო ქართული სიმღერათაგანი, სიამოვნებით მიეგება ყველა, ვისაც კი ქართული ეროვნული მუსიკა აინტერესებს. სასურველია, რომ მცოდნე პირებმა გამოთქვან თავიანთი აზრი ამ გამოცემის შესახებ.

✦ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობისაგან შემდეგი ცნობა მივიღეთ: ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წლიურ კრებაზე, წარსულ 4 თიბათვეს, ხსენებულ საზოგადოების წევრებათ არჩეულ იქმნენ: გძელიშვილი კონსტანტინე ივანეს ძე, ვახვახიშვილი სვიმონ რევაზის ძე, გაგლოშვილი დმვით გიორგის ძე, ქურდიანი გრიგოლ ზაქარიას ძე, დავით ბერი, ამირაჯიბი თ. კონსტანტინე მიხეილის ძე, დეკანოზიშვილი შაქრო ზაქარიას ძე, ბერძნიშვილი ყარამან ბიჭიას ძე, ტუსკია გერონტი ყარამანის ძე, მაჭუტაძე თ. დიტრი, წერეთელი მღ. სვიმონ ნიკოლოზის ძე, ლალიძე მიტროფანე ერმალოზის ძე, წინამძღვრიშვილი ნოდარ (იგივე ლევან) ერმალოზის ძე, მერკვილაძე იოსებ ნიკოლოზის ძე, ყაზბეგი ივანე ნიკოლოზის ძე, კილაძე ივანე, წულუკიძე გრიგოლ მიხეილის ძე, ფურცელაძე ისაია იულის ძე, ქოქაშვილი გიორგი მაქსიმეს ძე, გომელაური ივანე მიხეილის ძე, მამულაიშვილი არსენ ანტონის ძე, ლაბაური ზაქარია პეტრეს ძე, ხარკიშვილი დავით, ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე, ჭიჭინაძე ნიკოლოზ გაბრიელის ძე, ჩაჩავა ლადიმერ ნიკოლოზის ძე, ყიასაშვილი ივანე დავითის ძე, გოგუა კალისტრატე გიგოს ძე, გოგლიძე მიხეილ გიორგის ძე, პაიჭაძე სამსონ ივანეს ძე, მიქატაძე ლევარსი თევდორეს ძე, ყაისაშვილი მიხეილ დავითის ძე, კოპალეიშვილი ილიკო ივანეს ძე, ბოჭორიშვილი მიხეილ ზაქარიას ძე, ოქუაშვილი არაქელ გრიგოლის ძე, ჩოდრიშვილი ზაქარია იოსების ძე, კალატოზიშვილი დავით ივანეს ძე, იაშვილი ვლადიმერ იოსების ძე, მალსაგოვი გიორგი პეტრეს ძე, სტურუა ივანე თევდორეს ძე, არშინაშვილი იოსებ ზაქარიას ძე, ჯიბლაძე ვლადიმერ გიორგის ძე, მაჭავარიანი სოსო, ყაზახაშვილი შაქრო ლუარსაბის ძე, ერიქოვი ნიკო სტეფანეს ძე, ენუქიძე აბელ სოფრონის ძე, ბაქრაძე დიმიტრი ივანეს ძე, კალანდარაშვილი დიმიტრი ექვთიმეს ძე, ჯულელი სვიმონ სპირიდონის ძე, შილაკაძე გრიგოლ ილარიონის ძე თოფურია ნიკო, დარახველიძე იოსებ ნიკოლოზის ძე, მიქაძე რაჟდენ. ნინუა გიორგი ანტონის ძე, რაჭველაშვილი ფილიპე გიორგის ძე, ციმბაძე ნიკო კონსტანტინეს ძე, ჩხეიძე გიორგი ივანეს ძე, ჩხარტიშვილისა სოფიო მიხეილის ასული, თავდგირიძე თ. ნიკოლოზ ყარამანის ძე, კლიმიაშვილი მიხეილ იოსების ძე.

✦ 7 ივლისიდან ტფილისის სატუსაღოებში სულ ყოფილა 738 მამაკაცი და 28 დედაკაცი. აქედან სა გუბერნიო სატუსაღოში—393 კაცი და 25 ქალი, მეტეხში—345 კაცი და 3 ქალი.

## საღამოს დეპეშები

8 ივლისი

**პეტერბურგი**. დეპეშა ინჟენერი რიჟოვისა გამოგზავნილი 6 ივლისს, დონოდან, ბასკალის იქით მხრის ოლქიდან: „ინჟენერი ბოჩაროვი მშვიდობით მოკიდა ძველ-ცურუხაიტუიში. ხინგანში, ჯარმეტში, იანში, ხაკაში, ხაილარში და ურდენში შენობათა უმეტესი ნაწილი ჩინელებმა დაწვეს და გაძარცვეს.“ დეპეშა ინჟენ. ბოჩაროვისა დონოდან, 6 ივლისს გამოგზავნილი: „ხუთს ამ თვისას დავბრუნდი მშვიდობით მეოთხე ნაწილიდან ყველა რუსი მოშებითურთ; მოვიტანე მხოლოდ ვერცხლი და კანტორა; ყველა ავეჯი იქ დავტოვე. მეხუთე ნაწილი დაბრუნდება 8-ს. მონგოლები კარგად გვეპყრობიან და მშვიდობიანად არიან.“ უმთავრესმა შტაბმა მიიღო ცნობა, რომ მოწყვეტილ რუსთა რაზმის დასახსნელად გაგზავნილი რაზმი დაუყოვნებლივ მიდის წინ. ამას ხელს უწყობს მშვენიერი ამინდი. სხვადასხვა ადგილებიდან იუწყებიან, რომ მდინარე ამური ადიდდა. ეს გარემოება ხელს შეუწყობს ჯარების გაგზავნას. ჩინელების თავდასხმას არ შეუშინდნენ რუსეთის საზღვრების მცხოვრებნი. ქ. ბლაგოვეშჩენსკი გაყოფილია რამდენიმე ნაწილად, რომელთა მცხოვრებსაც უფროსობენ ადგილობრივი მოხელენი მცხოვრებლებმა გამოიჩინეს როგორც სხვაგან, ისე აქაც, ენერგია და ხერხი.

გენ. გროდეკოვისაგან ამბავი მოვიდა, რომ პოლკ. დენისოვი დამცველთა რაზმით წავიდა საბარინსო. ჩინეთის ყარაულები სიმაგრეებში მიდიან. მუდანცზიანი დაეიპყრეთ. ბლაგოვეშჩენსკიდან იტყობინებიან, სროლა არ შეწყვეტილაო, ჩვენი არტილერია დრო გამოშვებით პასუხს აძლევს. ზემო სახალინს ცეცხლი წაუკიდეთ. გუბერნატორი ქებით იხსენიებს მეომართა სიმამაცეს.

გენ. გროდეკოვი იტყობინება, რომ სრეტენსკის რაზმმა, რომელსაც ნაბძანები აქვს მიეშველოს ბლაგოვეშჩენკს და გზა გაანთავისუფლოს ამურისავე, უკვე მზად არის წასასვლელადო.

გიმი „დიდი მთავარი ალექსი“ იზემოსული მგზავრები რომელნიც ხარბინიდან 27 ივნისს გამოსულან, ამბობენ რომ მატარებლები დადიან მეორე სუნგასამდე და აეეხემდეო.

კაპიტანი გრიგორიევი, რომელიც სამხრეთიდან უკან იწევს, ახლა კუან-ჩენში იმყოფება. ხარბინის ოლქის მცხოვრებთა შორის მშვიდობიანობა ჰსუფევს. გილჩინსკის და ზავისტონსკის მცხოვრებთ შეადგინეს ორი რაზმი, რიცხვით 48, კაცი, და მიეშველნენ ყასახებს, რომლებიც ამურის ნაპირებს იცავენ, ზანზენსკის რაიონში.

გენ. გროდეკოვი შემდეგს იტყობინება 4 ივლისიდან:

„ქ. ბლაგოვეშჩენსკზე ყუმბარების სროლა შესწყდა საღამოს 8 საათზე. ყუმბარისაგან ერთ სახლს მოეკიდა ცეცხლი, რომელიც მალე გააქრეს. დაჭრილნი არიან ორი ჯარის კაცი და ერთი პატარა ბიჭი. ჩინელები თავიანთ მკვდრებს მდ ამურში ჰყრიან. 4 ივლისამდე მდინარეს ჩამოუტარებია 40-მდე დახოცილი ჩინელი. ჩინელებმა დააპირეს ზანზენის რაიონზე გადასვლა, მაგრამ ყაზახებმა გააბრუნეს. იქ გაგზავნილია რაზმი, რომ ხელი შეუშალოს ჩინელებს ჩვენ ნაპირს გად-

მოსვლა და დაიცვან მდინარეს შესართავში მყოფი ჩვენი გემები."

**ელიზენი.** აქ მოვიდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება პრეტორიიდან 6 ივლისს: „დღეს მეტუენმა დაიჭირა რეკსპორტი. გამილტონი და დეგონი მიდიან წინ დელაგოაის რკინის გზიდგან ჩრდილოეთისაკენ. გენტერი ორანჟეს ბურების დაზვერაშია ბეთლეჰემსა და ფიქსბურგს შუა."

ინგლისის კონსული ბეირში, რომელიც 3 ივლისს დასჭრეს ბოროტ-განმზრახველებმა, გარდაიცვალა.

**ჰონგკონგი.** აქაურმა იტალიის კონსულმა სთხოვა ლი-ხუნგ-ჩანგს გარდაეცა წერილი პეკინში მყოფ იტალიის ელჩის სალვაგო-რაჯისათვის. ამაზე ლი-ხუნგ-ჩანგმა უპასუხა, რომ მას არა აქვს არავითარი საშუალება წერილის გარდასაცემად და არც გზაა. აქ წინანდელივით ეჭვი აქვთ პეკინში მყოფ ელჩთა მდგომარეობაზე.

ლიხუნჩანგმა მისწერა მისდამი რწმუნებულ მხარეში ყველა დამოჟნების დირექტორებს ამას შემდეგ ემორჩილებოდენ კანტონს და არა პეკინს. ნანკინის ვიცე-კოროლმა შესაფერი ბრძანება მისცა სადამოჟნო მმართველობას შანჰაიში.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. კანცლერმა შეიტანა კანონ-პროექტი იარაღის და საომრო სურსათის გაზიდვის კანონების შეცვლის შესახებ. პროექტი მიღებულ იქმნა პირველი წაკითხვის შემდეგ

**ბერლინი.** ჰონკონგის გუბერნატორმა შეატყობინა ინგლისის ადმირალს, ლიხუნჩანგი 5 ივლისს წავიდაო.

არსენალი ლიკუ, ტიანცზინიდან ჩრდილოეთით, დაიპყრეს რუსებმა.

**შანჰაი.** შენი ამბობს, ვითომც მას მიუღია შანდუნის გუბერნატორისაგან დეპეშა—პეკინში უცხოელები მთლად ამოჟლიტესო, მაგრამ ზოგიერთი საბუთები ეწინააღმდეგებიან ამას.

კანტონის სიმაგრეებს ჯარს უმატებენ. სიმაგრე ბოგუში ამ ჟამად 5000 კაცია, ვანოაში ამ დღეებში ამდენივე იქნება.

**ჰონკონგი.** კანტონიდან იტყობინებიან, რომ ყველა თათრების ჯარები არიან სიმაგრე ბოგუსა და სხვა გარეთა სიმაგრეებში. რამდენიმე რაზმს „შაეი დროშისას" გამაგრებული ბანაკი უკავია. 7-დან 10 ათასამდე სხვა სიმაგრეებში არიან. კანტონში სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს.

**ვაშინგტონი.** 7 ივლისს ამერიკის კონსული იუწყება ჩიფუდან, რომ შანდუნის გუბერნატორმა ახლა მიიღო დეპეშა, რომელშიაც იუწყებიან, რომ პეკინში მყოფნი ელჩნი უვნებლად არიანო და რომ მმართველობა ყოველ ღონის ძიებასა ხმარობს მათი განთავისუფლებისა და დაცვისათვის.

**ლონდონი.** საიდუმლო ნიშნებიანი დეპეშა პეკინში მყოფის ამერიკის ელჩისა, რომელიც შანჰაიდან იყო გაგზავნილი ვაშინგტონში მყოფ ჩინეთის ელჩთან, ამერიკის სამინისტროში იქმნა გარჩეული და წაკითხული. იგი გადაუციათ ცუნგ-ლი-იამენისა და ტაოტაის დახმარებით. დეპეშა 50 სიტყვას შეიცავს და ხელ-მოწერილია კონჯერის მიერ. ელჩმა ვუტინვანმა დეპეშა გეის გადასცა.

**ვაშინგტონი.** გეიმ აუწყა საზღვარ-გარედ მყოფ ამერიკის ელჩებს კონჯერის დეპეშა და სთხოვა მიიღონ ზომები პეკინის დაუყოვნებლივ განთავისუფლებლად.

**ბრიუსელი.** შანჰაიდან ბელგიის კონსული იუწყება, რომ როგორც შენმა მაცნობა, პკეინში მყოფი უცხოელნი 5 ივლისს ისევ უვნებლად იყვნენო. იმპერატორმა უბრძანა 3 ივნისს ტიანცზინის მმართველს—გამოიანგარიშოს ზარალი, რომელიც გამოიწვია ადგილობრივმა მილიციის არეულობამ. ბრძანებაა მიცემული დაამშვიდონ მეამბოხენი.

**პარიზი.** შანჰაიდან იუწყებიან, რომ საქმეთა მიმდინარეობა წესიერი და მშვიდობიანია. იანცზეს სამხრეთ ნაწილში საქონლის მიმოტანას არა აბრკოლებს-რა. აბრეშუმით ვაჭრობა კარგია. ევროპიელთა შორის სრული თანხმობაა და შეადგინეს თავისუფალი რაზმი.

**ვაშინგტონი.** იაპონიამ ნება დართო ამერიკას გადასხას ჯარი და გადიტანოს სურსათი ნაგსააკში, საიდანაც შემდეგ ჯარი ტაკუში გაიგზავნება.

საზღვაო საქმეთა მინისტრმა დეპეშით შეატყობინა ადმირალ რემეის, კონჯერისაგან დეპეშა მოვიდა, რომ იგი ინგლისის საელჩოშია და მეამბოხენი აწუხებენო. მინისტრმა უბრძანა რემეის ყოველი საშუალება იხმაროს კონდჟერის განთავისუფლებლად.

**პარიზი.** ჩინეთის ელჩმა გადასცა დელკასეს, ლუბესათვის გარდასაცემად, ჩინეთის იმპერატორის დეპეშა. დეპეშაში არაფერია ნათქვამი პეკინში მყოფ ელჩების შესახებ. იმპერატორი სთხოვს საფრანგეთს შუამდგომლობას. დელკასემ შეატყობინა ელჩს,—პასუხი გაიგზავნება საფრანგეთის საელჩოში (პეკინში) და იქიდან მიიღებს მას ჩინეთის მთავრობაო. საფრანგეთს ჰსურს შეიტყოს რა მდგომარეობიშია პიშონი.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა შემდეგი: „სამინისტრომ ოც და ათს ივნისს მიჰმართა პეკინში ამერიკის ელჩს და მოსთხოვა ცნობები. ჩინეთის აქაურმა ელჩმა იკისრა დეპეშის ჩაბარება, თუ კონჯერი კიდევ ცოცხალი არისო. დღეს სამინისტრომ მიიღო დეპეშა შანჰაიდან ამერიკის კონსულისაგან: შანდუნის გუბერნატორი მატყობინებს, მივიღე კონდჟერის დეპეშა, რომელიც 5 ივლის არის გამოგზავნილი. რამდენიმე წუთის შემდეგ გარეშე საქმეთა სამინისტროში მოვიდა ჩინეთის ელჩი ვუტინფანი შენისაგან 7 ივლისს გამოგზანილ დეპეშით. დეპეშაში ეწერა: „თქვენი დეპეშა გაიგზავნა; გიგზანით შემდეგს პასუხს ცზუნგლი-იამენისას. თქვენი დეპეშა აქ მიღებულია 30 ივნისს. გარეშე საქმეთა სამინისტროს დეპეშა გადაეცა კონჯერს." აი იმის პასუხი: „ვიმყოფები ინგლისის საელჩოში, განუწყვეტლივ გვესვრიან ჩინელები თოფებს და ზარბაზნებს. მხოლოდ დაუყოვნებლივ მოშველება გადაგვარჩენს საერთო ამოჟლეტისაგან". ეს პასუხი შედგენილია ცნობილი საიდუმლო ნიშნებით და სამინისტრომ ნამდვილ დეპეშად იცნო. ამ შემთხვევაში მოტყუება შეუძლებელია. შემდეგ გამოცხადებულია შემდეგი: „სამინისტრომ ჩიფუში მყოფ კონსულისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „შანჰაის გაზეთმა" გამოაცხადა 3 ივლისს, რომ პეკინში მყოფნი ყველა უცხოელნი დახოცილ იქმნენ. მე დეპეშით დავეკითხე გუბერნატორს—მართალია ეს თუ არა? გუბერნატორმა მიპასუხა, რომ ჩემი შიკრიკი 30 ივნისს წამოვიდა პეკინიდან და მაშინ ყველანი ცოცხლები იყვნენ, მაგრამ პეკინის აღმოსავლეთ ნაწილი აღებულ იქმნა მეამბოხეთაგან იმ განზრახვით, რომ დაეხოცათ უცხოელნი". კონჯერის დეპეშა წაიკითხეს თუ არა, მაშივე გარეშე საქმეთა სამინისტროში დანიშნეს საბჭოს კრება.

**ლონდონი.** პალატა. ბალფუსი აცხადებს, რომ არსებულ კანონთა ძალით არ შეიძლება აღკრძალვა სასროლი სურსათის წაღებისა ინგლისიდან ჩინეთში. ფრიად საგულისხმიეროა ეს საქმე. დღეს ლორდთა პალატას წარედგინება კანონი, რომლის ძალით მართებლობას შეეძლება გამოსცეს შესაფერი აღმკრძალავი ბრძანება.

**პეტერბურგი.** მე-2 აღმოსავლეთ ციმბირის არტილერიის ბრიგადის უფროსის პოლკოვნიკ სევასტიანსკის დეპეშა: „სახალინში 6 ივლისს, ღამე, მომხდარ შეტაკების დროს მოკლულ იქმნა პოდპორუჩიკი კრიუკოვსკი."

განჯის გუბერნატორს ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა სამსახურიდან დათხოვნით.

უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა მინისტრთა კომიტეტის დადგენილება კანონთა მუხლების გაუქმების შესახებ, რომელთა ძალითაც აქამდის აღკრძალული იყო ზოგიერთ დღეებში კონცერტებისა და სხვა გასართობი საღამოების მართვა. ეხლა პირდაპირ ჩამოთვლილია რამდენიმე უქმე დღე, როცა გასართობ საღამოების გამართვა არ შეიძლება.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკმა განაცხადა, რომ ინგლისის ჯარების მისაშველებლად ჩინეთში გაიგზავნა ერთი სამხედრო გემი, შვიდი კრეისერი, სამი კანონერკა და 860 ზღვაოსანიო. ინდოეთიდან გაიგზავნა 10,000 კაციო. ინდოეთის ჯარები ჩქარა მივლენ ჰონგკონგში. შანჰაიში 60 მისსიონერის მოკვლის ამბავი არა მტკიცდება. იანცზეში იმყოფება 16 ინგლისის სამხედრო გემი, რომლებიც ყოველ დღეს ბინას იცვლიან. უფროსს საზღვაო ოფიცერს ზუზუნში მუდმივი მიწერ-მოწერა აქვს შანჰაის კონსულთან.

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

გამოც. გ. გუხაა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Іюля 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განჭის დიდი ქუჩა, № 27.